ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 266

"16" აგვისტო 2016 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, თბილისის ზღვაზე, დიდ ყურესა და ზღვას შორის არსებულ ნახევარკუნძულზე მდებარე ნაკვეთებზე (ს/კ №01.12.21.001.220; №01.12.21.001.221) სპორტულ-გამაჯანსაღებელი სასტუმროსა და დასასვენებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის, 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ" ქვეპუნქტის, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 63-ე მუხლის, ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების" მე-40 მუხლის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს 2016 წლის 7 ივლისის №35 ოქმის და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2016 წლის 5 აგვისტოს №04/14643 წერილის (AR1417401) შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნეს ქ. თბილისში, თბილისის ზღვაზე, დიდ ყურესა და ზღვას შორის არსებულ ნახევარკუნძულზე მდებარე ნაკვეთებზე (ს/კ №01.12.21.001.220; №01.12.21.001.221) სპორტულ-გამაჯანსაღებელი სასტუმროსა და დასასვენებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ არქიტექტურის სამსახურის ელექტრონულ გვერდზე www.tas.ge რეგისტრირებული AR1417401 განაცხადის შესაბამისად (იხ. თანდართული უფლებრივი ზონირების რუკა).

2 აღნიშნული განკარგულების შესაბამისად, გასატარებელი ღონისძიებების განხორციელება დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ არქიტექტურის სამსახურს.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი

თბილისის ზღვაზე ,დიდ ჭურესა და ზღვას შორის არსებული ნახევარკუნძული

სპორტულ-გამაჯანსაღებელი სასტუმრო და დასასვენებელი კომპლექსი



ტერიტორიის ფართი	59278	პ-1	პ-0.2
მოედნების ფართი	10489	პ-1	პ-0.3
ფართი გარე კონტურზე	56000	პ-2	პ-0.9









ექსპლიკაცია

1. მრავალსართულიანი სასტუმრო
2. საკონცერტო სასტუმროები
3. სპასების ობიექტი "ჭექერა"
4. დახურული საცურაო აუზი
5. გასართობი ცენტრი-დახურული და ღია ტიპის კომპლექსი
6. ბავშვთა გასართობი ზონა
7. პრომენადები
8. სპორტული მოედანი
9. დეკორატიული ტბა
10. შესასვლელი-დასვლის ჯიხური
11. სატრანსფორმატორო
12. წყლის რეზერვუარი

პირობითი ნიშნები

- ნიშნული ხაზი
- სამანქანო გზა
- საფეხმავლო გზა
- გამწვანება
- ნაგებობები
- სექტორი

სარეკრეაციო ზონა რეზ-2 დაბგენილი პ-1=0.2

მშენებელი
ა. თამარაშვილის მემორიალური სახლ-ზეციერის სარეაბილიტაციო ცენტრი

ობიექტის ასაღლებელი

ობიექტის მისამართი

დებულება:

დირექტორი	გ.კასენიანიშვილი
მთ.არქიტექტორი	გ.გელაშვილი
არქიტექტორი	გ.კასენიანიშვილი

პროექტის ხელმძღვანელის დასახელი ნაწილი

godako2

პროექტირების ფირმა

განაშენიანების რეგულირების გეგმა